საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №981
2024 წლის 25 იანვარი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2024 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა (დანართი №1), სადაც 2024 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2024 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული ოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**

დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2024 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2024 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	დაბა მესტია	1	მაღალმთიანი დასახლება
2	დაბა ბაკურიანი	1	მაღალმთიანი დასახლება
3	ქალაქი ბაღდათი	1	
4	ქალაქი ბათუმი	1	
5	ქალაქი ჩხოროწყუ	1	